ხელშეკრულება №96სშ
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)
CPV –18530000

ერთი მხრივ, **სსიპ-საქართველოს ეროვნული არქივი** (სკ-211358957), შემდგომში წოდებული „**შემსყიდველად**", წარმოდგენილი გენერალური დირექტორის **თეონა იაშვილის** სახით და მეორე მხრივ, **შპს „მეგა სთარ"** (ს/კ- 402120450;) წარმოდგენილი მისი დირექტორის **ეკატერინე ყურაშვილის** სახით, შემდგომში წოდებული „**მიმწოდებლად**", ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, რა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-3 მუხლის, პირველი პუნქტის, „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2.„ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „საქონელი" - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7.„ინსპექტირება" – ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

2. ხელშეკრულების საგანი

სსიპ-საქართველოს ეროვნული არქივის მიერ ორგანიზებული ღონისძიების „საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა" ფინალურ ეტაპზე გამარჯვებული გუნდებისთვის ჯილდოების სახელმწიფო შესყიდვა დანართი №1-ის შესაბამისად.
CPV –18530000

3.ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **150.00 (ას ორმოცდასამი)** ლარს, დღგ-ს ჩათვლით.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ, გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში ფასის ცვლილება დასაშვებია არაუმეტეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ით.

4.მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების მე-2 მუხლით განსაზღვრული საქონლის მიწოდება დანართი №1-ის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

ბ) განიხილოს **შემსყიდველის** პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ინსპექტირება და დადებითი შეფასების შემთხვევაში მისი მიღება;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5.საქონლის ხარისხი

მიწოდებული საქონლი უნდა იყოს მაღალი ხარისხის და აკმაყოფილებდეს წინამდებარე ხელშკრულების 4.1 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანართი №1-ში აღნიშნულ მაჩვენებლებს და სრულ შესაბამისობაში უნდა იყოს წინასწარ წარმოდგენილ ნიმუშებთან.

6.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება საქონლის მიწოდებისას.

6.2. ინსპექტირებას განახორციელებს **სსიპ-საქართველოს ეროვნული არქივის სამეცნიერო განყოფილების უფროსი ან იმ დროისათვის მისი მოვალეობის შემსრულებელი.**

6.3. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნდებული საქონელი, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 2 (ორი) დღეში გამოასწოროს წუნი.

7.საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. საქონლის მიღება იწარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელისმოწერით, ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის შესაბამისად, წინამდებარე

ხელშეკრულების 6.2 პუნქტით განსაზღვრული ინსპექტირების განმახორციელებელი პირის დადებითი ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე.

7.2. საქონლის მიღების დროს, თუ ვადის გადაცილება, გამოწვეულია მესამე პირის ბრალეულობით (მწარმოებლის დეფექტი ან/და სხვა შემთხვევა), მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს წერილობითი დამადასტურებელი დოკუმენტი მესამე პირის ბრალეულობის შესახებ და წუნი აღმოფხვრას გონივრულ ვადაში შემსყიდველთან შეთანხმებით, რაც არ ჩაითვლება ვადაგადაცილებად.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

გ) დაფინანსების წყარო - 2023 წლის საკუთარი შემოსავლები;

8.2.შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს ფაქტობრივად მიღებული საქონლის ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და შემსყიდველის მიერ, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო ანგარიშფაქტურის დადასტურებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8.3. შემსყიდველი უფლებამოსილია, ხოლო მიმწოდებელი თანახმაა ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), გამოქვითოს ყოველი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიმწოდებელზე გადასარიცხი თანხიდან და გადარიცხოს მიმწოდებლის სახელით სახელმწიფო ხაზინის შესაბამის სახაზინო კოდზე.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10.ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანართი №1-ით განსაზღვრული, საქონლის მიწოდების ვადებისა და პირობების დარღვევის შემთხვევაში ან/და 6.3 პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების 8.2 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში მიმოწდებელი უფელბამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

10.3. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%(ერთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12.დავების გადაწყვეტა

12.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს.

13.ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2023 წლის 31 ივლისის ჩათვლით.

15.ფორს-მაჟორი

15.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.
15.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინითა და სხვა.
15.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16.სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და ხელმოწერილია „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების მოთხოვნის შესაბამისად.

17.მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
სსიპ-საქართველოს ეროვნული არქივი **მისამართი:** ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №1 **ტელეფონი:** 238-14-25 **საბანკო რეკვიზიტები**: სახელმწიფო ხაზინა; **ბანკის კოდი:** TRESGE22; **ანგ.№** GE24NB0330100200165022 **ს/კ** - 211358957	**შპს ,,მეგა სთარ"** **მისამართი:** ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. № 197 **ტელეფონი:** 555 576767; **ელ:ფოსტა:** ketiadvadze@yahoo.com **საბანკო რეკვიზიტები:** სს „საქართველოს ბანკი" ბანკის კოდი: BAGAGE22; **ანგ.№**: GE73BG0000000160920750 **ს/კ** - 402120450

Ekaterine Kurashvili 01007000590
Digitally signed by Ekaterine Kurashvili
Date: 2023.04.19 16:29:05

დანართი №1

№	**შესყიდვის ობიექტის დასახელება და დეტალური მახასიათებლები**	**ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის წარმოშობის ქვეყნის შესახებ**	**შესყიდვის ობიექტის განზომილებაის ერთეული და რაოდენობა**	**შესყიდვის ობიექტის ერთეულის ფასი დღგ-ს გათვალისწინებით (ლარი)**	**შესყიდვის ობიექტის მთლიანი ფასი დღგ-ს გათვალისწინებით (ლარი)**	**შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები**
1	**თასი** ბროლის, სიმაღლე 24 სმ	ჩინეთი	1 ცალი	60.00	60.00	**მოწოდების ვადა:** ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღიდან 2 (ორი) სამუშაო დღე **მოწოდების ადგილი:** მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. № 197
2	**მედალი** არაძვირფასი მეტალი, დიამეტრი 6 სმ, ლურჯი ლენტით (6- 6 ცალი, პირველი, მეორე და მესამე ადგილის მითითებით)	ჩინეთი	18 ცალი	5.00	90.00	

სსიპ-საქართველოს ეროვნული არქივი
მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №1
ტელეფონი: 238-14-25
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა;
ბანკის კოდი: TRESGE22;
ანგ.№ GE24NB0330100200165022
ს/კ - 211358957

შპს „მეგა სთარ"
მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. № 197
ტელეფონი: 555 576767;
ელ:ფოსტა: ketiadvadze@yahoo.com
საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22;
ანგ.№: GE73BG0000000160920750
ს/კ - 402120450